

## მოსამართლის დისციპლინურ გადაცდომათა ჩამონათვალი და განმარტებები.

ობიექტური, სამართლიანი, ჯანსაღი, ეფექტური და განჭვრეტადი დისციპლინური სამართალწარმოება სასამართლოს დამოუკიდებლობის და მისი ანგარიშვალდებულების უზუნველყოფის აუცილებელი წინაპირობაა. ამ მიზნით, აუცილებელია წინასწარ განისაზღვროს დისციპლინური გადაცდომების მკაფიო ჩამონათვალი. როგორც სადისციპლინო კოლეგიის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა (იხ. სადისციპლინო კოლეგიის ვებგვერდი - „კვლევები“), მოსამართლეებს და ადვოკატებს აქვთ რადიკალურად განსხვავებული შეხედულებანი, თუ მოსამართლის რომელი ქცევა უნდა ჩაითვალოს დისციპლინურ გადაცდომად. დისციპლინური გადაცდომების მკაფიო დეფინიციის აუცილებლობაზე მიუთითებს ასევე არაერთი საერთაშორისო თუ ეროვნული ორგანიზაციის დასკვნა. მოქმედი დისციპლინური კანონმდებლობა ბევრ ბუნდოვანებას და ხარვეზს შეიცავს. მასში მოცემული ზოგადი ფორმულირებები იძლევიან ძალიან ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. დისციპლინური გადაცდომების მკაფიო ჩამონათვალის არსებობა ასევე აუცილებელია მოსამართლის ქმედების სწორი კვალიფიკაციის და დისციპლინურ პროცესში მტკიცების საგნის განსაზღვრისთვის.

აღნიშნული ხარვეზების გამოსასწორებლად, აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის 30 ქვეყნის და ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილების, სამოსამართლო ეთიკის წესების და სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების გათვალისწინებით, სადისციპლინო კოლეგიის არამოსამართლე წევრების - კახა წიქარიშვილის და ქეთევან ბექაურის მიერ შემუშავებული იქნა მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომების დეტალური ჩამონათვალი (საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონის მე-2 მუხლის ახალი რედაქცია) და განმარტებები.

ვფიქრობთ რომ დისციპლინური გადაცდომების დეტალიზაციის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის ღირებულებათა სისტემა (დისციპლინური გადაცდომის ობიექტი), რომელიც უნდა იქნას დაცული დისციპლინური წესით. ჩვენი აზრით, ეს ღირებულებებია: სასამართლოს პრესტიჟი და ავტორიტეტი, საზოგადოებრივი ნდობა სასამართლოს მიმართ; მოსამართლის მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა; მოსამართლის ღირსება; პროცესის მონაწილეთა ან სხვათა პატივი და ღირსება; თათბირის (პროფესიული) საიდუმლოება; სასამართლოს გამართული ფუნქციონირება; წესრიგი სასამართლო სხდომის დარბაზში; დისციპლინური მართლმსაჯულება; და სხვ. მოსამართლის ამა თუ იმ ქმედების გადაცდომად აღიარებას საფუძვლად უნდა დაედოს ის პოტენციური ზიანი, რაც ამ ქმედებამ შეიძლება მოუტანოს აღნიშნულ ღირებულებათა სისტემას.

ვფიქრობთ დისციპლინური გადაცდომების საბოლოო ფორმულრებანი შემოშავებული უნდა იქნას მართლმსაჯულების სისტემის სუბიექტების - პირველ რიგში მოსამართლეების მჭიდრო მონაწილეობით და ჩართულობით. მოხარული ვიქნებით თუ მოვისმენთ პრაქტიკოსი იურისტების - განსაკუთრებით მოსამართლეებისა და ადვოკატების შენიშვნებს და მოსაზრებებს და მივიღებთ მონაწილეობას მათ განხილვაში. შესაბამისად, გთხოვთ გაეცნოთ დართულ დოკუმენტებს და თქვენი შენიშვნები 2015 წლის 15 ნოემბრამდე მიაწოდოთ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

კახა წიქარიშვილი

ქეთევან ბექაური